

დანართი #2

დამტკიცებულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

2015 წლის 17 სექტემბრის
#107/02-01 ბრძანებით

კომისიის მუშაობის წესი

მუხლი 1. შერჩევის მიზანი

კომისიის მუშაობის წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელ ცენტრში მასწავლებლების შესარჩევად კონკურსის ჩატარება.;

მუხლი 2. კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა და სულ მცირე 3 (სამი) წევრის შემადგენლობით;

მუხლი 3. კომისიის მუშაობა

1. კომისიის ყველა სხდომა არის დახურული;
2. კომისიის წევრები ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალურობა და არ გაამჟღავნონ ინფორმაცია შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე;
3. კომისიის ფუნქციები:
 - ა) კონკურსის პროცედურის ორგანიზება დადგენილი წესის შესაბამისად;
 - ბ) აპლიკანტების კანდიდატურის განხილვა;
 - გ) სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში აპლიკანტის დოკუმენტაციის მოხსნა;

დ) კონკურსის შედეგად რეკომენდირებული კანდიდატების წარდგენა თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის;

4. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ევალება:

ა) საკონკურსო კომისიის ხელმძღვანელობა, მისი მუშაობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და წინამდებარე წესის საფუძველზე;

ბ) საკონკურსო კომისიის სხდომების დანიშვნა, მათი ჩატარების ადგილისა და დროის განსაზღვრა;

გ) სხდომებისათვის დოკუმენტაციისა და მასალების მომზადების კონტროლი;

დ) საკონკურსო კომისიის სხდომების წარმართვა;

5. საკონკურსო კომისიის მდივანს ევალება:

ა) კომისიის წევრებისათვის სხდომების დროისა და ადგილის შეტყობინება;

ბ) კომისიის წევრების საჭირო მასალებითა და დოკუმენტაციით უზრუნველყოფა;

გ) კომისიის მუშაობის ოქმების წარმოება;

დ) საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის იმ დავალებების შესრულება, რომელიც საკონკურსო კომისიის მუშაობასთანაა დაკავშირებული;

6. კომისიის სხდომების ოქმებში უნდა დაფიქსირდეს:

ა) სხდომის თარიღი;

ბ) დამსწრე შემადგენლობა

გ) სხდომაზე კენჭისყრის ჩატარების შემთხვევაში _ შედეგები;

დ) მიღებული გადაწყვეტილება.

7. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრების ნახევარი მაინც. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში სხდომა ინიშნება სხვა დროს.

8. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, ხოლო დასკვნას ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

9. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია აპლიკანტის მოსთხოვოს სააპლიკაციო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა კომისიის მიერ დადგენილ ვადებში;

10. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია შერჩევიდან მოხსნას აპლიკანტი, თუ:

ა) წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს არასწორ ინფორმაციას;

ბ) წარმოდგენილი დიპლომი არ შეესაბამება დასაკავებელი თანამდებობის პროფილს;

გ) კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს დოკუმენტის/დოკუმენტების დედანი, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მოხსნას კონკურსანტი კონკურსიდან.

დ) აპლიკანტმა კომისიის მიერ დადგენილ ვადაში არ/ვერ წარმოადგინა ბრძანებით მოთხოვნილი დოკუმენტები;

ე) არ გამოცხადდა ან უარი განაცხადა გასაუბრებაზე.

12. კომისიის სრული დოკუმენტაცია შერჩევის დასრულებისა და შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესაძლებელია გადაეცემა თსუ კანცელარიას.

13. საკონკურსო კომისიის ლიკვიდაცია ხდება დაკისრებული ფუნქციების შესრულების შემდეგ.

მუხლი 4. აპლიკანტის შეფასება

1. აპლიკანტის შეფასება ენის სპეციფიკის გათვალისწინებით განხორციელდება შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით (დანართი);

მუხლი 5. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, ხოლო კომისიის მუშაობის შედეგებს ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით ღია კენჭისყრით;

2. შერჩეულ კანდიდატად ჩაითვლება აპლიკანტი, რომელსაც ხმას მისცემს საკონკურსო კომისიის წევრთა უმრავლესობა. თუ შერჩეულ კანდიდატთა რაოდენობა აღემატება ვაკანტური ადგილის რაოდენობას, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა საბოლოო გამარჯვებულის გამოვლენამდე.

3. აპლიკანტთა მიერ ხმათა არასაკმარისი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, ადგილები რჩება ვაკანტური;

4. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტს, რომლის საფუძველზე

შერჩეულ მასწავლებლებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულებები;

მუხლი 6. დავების გადაწყვეტა

1. შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.